

გრიგოლ მეგრელიშვილის საფლავზე

დავიწყებულო,
დამიწებულო,
დანაცრებულო ყრმაო პოეტო,
თათრის ტყვიებით დაძინებულო,
შენი წყლულები გულს შემოენთო!

მხედარო, სისხლით მოჭირნახულევ,
შენი ნავარდი თუ მაქვს ხილული;
აი, სამარეც მოვინახულე,
დიდი ცაცხვებით გადაჩრდილული.
შენც მოგხვდა ხელი ველური მეკობრის,
გტკივა წყლულები? წყალი გწყურია ?
ზედაშე ?

ვაი, მრავალ მეგობრის
სხეული ტყვიით მოკირწყლულია
ცივ ფარაჯაზე ცრემლი გეცემა,
მომესმის გმინვა გათანგულისა
ძველი ტკივილის დაორკეცებამ
გახსნა იარა ჩვენი გულისა.

-ღიმილის ბიჭო, შენ აქ რა გინდა,
შთამომავლობამ ემირად გახსენა;
ხომ დაიცალე, ძმაო, სისხლიდან,
ძველი მესხეთის გამოსახსნელად!

ყრმები დავშორდით... მოველ ჭადარა
-აღსდექ, -მოგძახის შენი თაობა,
მამულისათვის შეგრჩა-ღა-რა
შემართება და გამბედაობა!

გახსოვს, პირველი ლექსის აღმური,
ის ოქრომკერდი განა დამჰალა ?
გადაგიმსხვრიეს თუმც სალამური,
გულში გვინთიხარ ყრმობის ლამჰარად,-

თანშეზრდილ ძმებს და ტოლ ამხანაგებს,
ვისაც გვსმენია სიმღერა შენი;
შენი აჩრდილი ჩვენს ფიქრს განაგებს,
და ძველებურად ძმობაშიც შვენი!

მაგრამ, სიკვდილმა სიმნი დაცელა,
სიტყვის მუხლს ვედარ შეეჭიდები;
რაც ვერ მოასწრო ლექსის დაწერა,
იმას მღერიან ხეზე ჩიტები!
ნუ გეშინია,არ დაკარგულა
შენი რითმების მარგალიტები,
ნამად ვარდებზე ამოქარგულა,-
გმირის სახელი ხალხმა გარგუნა
უძველეს გმირთა მაგალითებით.

შენი ღიმილი გახარებული
ნაკადულებს და წყაროებს შერჩათ;
თათრის ტყვიებით დაცხავებული
ჩვენს წინაპრებთან წახველი ელჩად...

გაჰქრეს საფლავი!
მეგობრულ ღიმილს,
მეგობრის ნაცვლად როგორ ვუყურო?
არ გესმით, ირგვლივ წკრიალებს სიმი,
შეთრთოლდა კიდეც ცაცხვი ფუღურო,
ცეცხლის ხმლიანი დგას სერაფიმი
ვგონებ, სიმღერამ დაიგურგუროს...
ახ,ცხრამეტი წლის მკვდარო ბულბულო,
ცხრამეტი ტყვიით გადაბუგულო!

გურიის მთებო, მოგისამბძიმრებთ,
გაჩუმიდა ჩანგი, თქვენ რომ გფერობდათ;
ჩასჭუნა ყვავილი, რომელის, იქნებ,
მთელ საქართველოს გადაჰფენოდა!